სს "კავკასრეესტრი"

ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის **31** დეკემბრით დასრულებული წლისათვის

და

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სს "კავკასრეესტრი"
ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

შინაარსი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	1
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სრული შემოსავლების ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	7

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1	ზოგადი ინფორმაცია	8
2	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა	8
3	კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები	19
4	ფული და ფულის ეკვივალენტები	19
5	დებიტორული დავალიანება	20
6	დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები	20
7	ძირითადი საშუალებები	20
8	არამატერიალური აქტივები	21
9	ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში	21
10	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21
11	გადასახდელი ხელფასის ანარიცხი	22
12	საკუთარი კაპიტალი	22
13	მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავალი	23
14	ხელფასის ხარჯი	23
15	ოფისის იჯარის ხარჯი	23
16	სხვა ხარჯები	23
17	ფინანსური შემოსავალი	23
18	კურსთაშორისი სხვაობის წმინდა მოგება / (ზარალი)	24
19	ცვლილება ფინანსური აქტივის გაუფასურების რეზერვში	24
20	შემოსავალი / (ზარალი) ერთ აქციაზე	24
21	პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები	25
22	ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ	25
23	ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	30
24	საწარმოს უწყვეტობის განხილვა	31
25	საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	31

ანგარიშგების ბოლო გვერდია: 31

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია სს "კავკასრეესტრის" ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას.

მენეჯმენტი, აგრეთვე, პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტიანი სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:

თამაზ ხიზანიშვილი	ხათუნა გვილავა
დირექტორი	მთავარი ბუღალტერი

სს "კავკასრეესტრი"

თარიღი: 31 მარტი, 2022

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია სს "კავკასრეესტრის" ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას.

მენეჯმენტი, აგრეთვე, პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტიანი სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:

თამაზ ხიზანიშვილი
დირექტორი

ხათუნა გვილავა
მთავარი ბუღალტერი

სს "კავკასრეესტრი"

თარიღი: 31 მარტი, 2022

Moore Abc, LLC
6 Marjanishvili Street
0102, Tbilisi, Georgia

T +995 32 2 000 123
E info@moore.ge

www.moore-georgia.ge

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა
სს "კავკასრეესტრი"

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს "კავკასრეესტრის" (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს წლისათვის, რომელიც დასრულდა ზემოთ აღნიშნული თარიღით, აგრეთვე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (ფასს).

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსისა (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია ჩვენი მოსაზრებისთვის.

მენეჯმენტისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტს ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტს განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

Moore Abc is a limited liability company -registered in Georgia with identification number 206331691. Registered in the State Registry of Audit Firms with the registration number: SARAS-F-320544. An independent member firm of Moore Global Network Limited - a network of independent audit and consulting firms.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა *(გაგრძელება)*

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას, მათ შორის გამოწვეულს თაღლითობით ან შეცდომით, და გავცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებულ ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა თუკი გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების გამოყენების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტის პროცესში აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ:

• ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

• შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

• ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

• დასკვნა გამოგვაქვს მენეჯმენტის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

• ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას, მის შინაარსს და ახსნა-განმარტებითი შენიშვნებს. ამასთან ვაფასებთ, ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციები და მოვლენები უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა, ვადების და ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მიხეილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი
ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544
აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011

თარიღი: 31 მარტი, 2022
თბილისი, საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	**31-დეკ-21**	**31-დეკ-20**
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	87,515	77,717
დებიტორული დავალიანება	5	20,917	59,223
დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები	6	190,564	18,563
სულ მიმდინარე აქტივები		**298,996**	**155,503**
ძირითადი საშუალებები	7	315	1,107
არამატერიალური აქტივები	8	6,340	7,717
დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები	6	-	197,688
ინვესტიცია ფასიან ქაღალდებში	9	54,085	54,085
სულ გრძელვადიანი აქტივები		**60,740**	**260,597**
სულ აქტივები		**359,736**	**416,100**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	4,478	24,599
გადასახდელი ხელფასის ანარიცხი	11	54,400	58,971
საგადასახადო ვალდებულება		2,054	2,926
გადასახდელი დივიდენდები		-	161
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**60,932**	**86,657**
სააქციო კაპიტალი	12	14,600	14,600
გაუნაწილებელი მოგება		284,204	314,843
სულ კაპიტალი		**298,804**	**329,443**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**359,736**	**416,100**

თამაზ ხიზანიშვილი — ხათუნა გვილავა

დირექტორი — მთავარი ბუღალტერი

სს "კავკასრეესტრი"

თარიღი: 31 მარტი, 2022

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-დეკ-21	31-დეკ-20
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	87,515	77,717
დებიტორული დავალიანება	5	20,917	59,223
დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები	6	190,564	18,563
სულ მიმდინარე აქტივები		**298,996**	**155,503**
ძირითადი საშუალებები	7	315	1,107
არამატერიალური აქტივები	8	6,340	7,717
დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები	6	-	197,688
ინვესტიცია ფასიან ქაღალდებში	9	54,085	54,085
სულ გრძელვადიანი აქტივები		**60,740**	**260,597**
სულ აქტივები		**359,736**	**416,100**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	4,478	24,599
გადასახდელი ხელფასის ანარიცხი	11	54,400	58,971
საგადასახადო ვალდებულება		2,054	2,926
გადასახდელი დივიდენდები		-	161
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**60,932**	**86,657**
სააქციო კაპიტალი	12	14,600	14,600
გაუნაწილებელი მოგება		284,204	314,843
სულ კაპიტალი		**298,804**	**329,443**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**359,736**	**416,100**

თამაზ ხიზანიშვილი
დირექტორი
სს "კავკასრეესტრი"
თარიღი: 31 მარტი, 2022

ხათუნა გვილავა
მთავარი ბუღალტერი

სრული შემოსავლების ანგარიშგება

	შენიშვნა	**2021**	**2020**
მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავალი	13	105,459	158,688
საფონდო ბირჟის მომსახურების ხარჯი		(10)	(19,663)
სულ საოპერაციო შემოსავალი		**105,449**	**139,025**
ხელფასის ხარჯი	14	(94,346)	(116,465)
ოფისის იჯარის ხარჯი	15	(23,182)	(22,595)
კურსთაშორისი სხვაობის წმინდა მოგება / (ზარალი)	18	(15,882)	34,835
საკონსულტაციო ხარჯი		(9,343)	(20,552)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი		(2,168)	(3,088)
ცვლილება ფინანსური აქტივის გაუფასურების რეზერვში	19	201	(10,565)
სხვა ხარჯები	16	(10,477)	(12,573)
ფინანსური შემოსავალი	17	15,051	14,696
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		4,058	7,240
მიმდინარე წლის წმინდა მოგება/(ზარალი)		**(30,639)**	**9,958**
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		**(30,639)**	**9,958**
შემოსავალი / (ზარალი) ერთ აქციაზე:			
საბაზისო	20	**(2.10)**	**0.68**

თამაზ ხიზანიშვილი
დირექტორი
სს "კავკასრეესტრი"
თარიღი: 31 მარტი, 2022

ხათუნა გვილავა
მთავარი ბუღალტერი

სრული შემოსავლების ანგარიშგება

	შენიშვნა	2021	2020
მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავალი	13	105,459	158,688
საფონდო ბირჟის მომსახურების ხარჯი		(10)	(19,663)
სულ საოპერაციო შემოსავალი		**105,449**	**139,025**
ხელფასის ხარჯი	14	(94,346)	(116,465)
ოფისის იჯარის ხარჯი	15	(23,182)	(22,595)
კურსთაშორისი სხვაობის წმინდა მოგება / (ზარალი)	18	(15,882)	34,835
საკონსულტაციო ხარჯი		(9,343)	(20,552)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი		(2,168)	(3,088)
ცვლილება ფინანსური აქტივის გაუფასურების რეზერვში	19	201	(10,565)
სხვა ხარჯები	16	(10,477)	(12,573)
ფინანსური შემოსავალი	17	15,051	14,696
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		4,058	7,240
მიმდინარე წლის წმინდა მოგება/(ზარალი)		**(30,639)**	**9,958**
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		**(30,639)**	**9,958**
შემოსავალი / (ზარალი) ერთ აქციაზე:			
საბაზისო	20	**(2.10)**	**0.68**

თამაზ ხიზანიშვილი
დირექტორი
სს "კავკასრეესტრი"
თარიღი: 31 მარტი, 2022

ხათუნა გვილავა
მთავარი ბუღალტერი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	შენიშვნა	**2021**	**2020**
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები		142,207	119,719
მომწოდებლებისთვის და თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(158,388)	(131,078)
მიღებული პროცენტი		31,036	318
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		**14,855**	**(11,041)**
წმინდა ზრდა / (კლება) წლის განმავლობაში		**14,855**	**(11,041)**
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში		77,717	82,521
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		(5,057)	6,237
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	**4**	**87,515**	**77,717**

თამაზ ხიზანიშვილი
დირექტორი
სს "კავკასრეესტრი"
თარიღი: 31 მარტი, 2022

ხათუნა გვილავა
მთავარი ბუღალტერი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	შენიშვნა	2021	2020
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები		142,207	119,719
მომწოდებლებისთვის და თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(158,388)	(131,078)
მიღებული პროცენტი		31,036	318
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		**14,855**	**(11,041)**
წმინდა ზრდა / (კლება) წლის განმავლობაში		**14,855**	**(11,041)**
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში		77,717	82,521
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		(5,057)	6,237
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	**4**	**87,515**	**77,717**

თამაზ ხიზანიშვილი
დირექტორი
სს "კავკასრეესტრი"
თარიღი: 31 მარტი, 2022

ხათუნა გვილავა
მთავარი ბუღალტერი

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**14,600**	**304,885**	**319,485**
წლის მოგება/(ზარალი)	-	9,958	**9,958**
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**14,600**	**314,843**	**329,443**
წლის მოგება/(ზარალი)	-	(30,639)	**(30,639)**
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**14,600**	**284,204**	**298,804**

თამაზ ხიზანიშვილი
დირექტორი
სს "კავკასრეესტრი"
თარიღი: 31 მარტი, 2022

ხათუნა გვილავა
მთავარი ბუღალტერი

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**14,600**	**304,885**	**319,485**
წლის მოგება/(ზარალი)	-	9,958	**9,958**
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**14,600**	**314,843**	**329,443**
წლის მოგება/(ზარალი)	-	(30,639)	**(30,639)**
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**14,600**	**284,204**	**298,804**

თამაზ ხიზანიშვილი
დირექტორი
სს "კავკასრეესტრი"
თარიღი: 31 მარტი, 2022

ხათუნა გვილავა
მთავარი ბუღალტერი

1 ზოგადი ინფორმაცია

1.1 კომპანია და მისი საქმიანობა

სააქციო საზოგადოება "კავკასრეესტრი" (შემდგომში "კომპანია") დაფუძნდა 1998 წლის 10 აპრილს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის იურიდიული მისამართი არის: საქართველო, თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №74ა. კომპანია (სახელმწიფო რეგისტრაციის #5ა/5-58) საქმიანობას ეწევა 2000 წლის 26 იანვარს გაცემული #70002 ლიცენზიით. აღნიშნული ლიცენზიის საფუძველზე, კომპანია სააქციო საზოგადოებებს (ემიტენტებს) სთავაზობს სხვადასხვა მომსახურებებს როგორც ოფისში, ასევე უშუალოდ ემიტენტებთან, უზრუნველყოფს ფასიანი ქაღალდების რეესტრების ფორმირებას, კონსოლიდაციას, საჯარო და არასაჯარო ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციების (ემისიის განთავსება, ყიდვა-გაყიდვა, ჩუქება, გირავნობა, ბლოკირება და ა.შ.) დარეგისტრირებას. კომპანია ახდენს ფასიანი ქაღალდების რეესტრების დაცულ წარმოებას, მონაცემთა ბაზების დაარქივებასა და შენახვას. ასევე, კლიენტის მოთხოვნით, აქციონერთა საერთო კრების მოწვევის ორგანიზებას, კრებაზე დასწრებასა და ხმების დათვლას, კანონმდებლობის გათვალისწინებით, ფასიან ქაღალდებზე სატენდერო შეთავაზებისა და სავალდებულო მიყიდვის პროცედურებში მონაწილეობას.

1.2 საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, კომპანია დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც ხასიათდება განვითარებადი ბაზრის მახასიათებლებით. იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, მაგრამ ექვემდებარებიან სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რომლებიც, სხვა სამართლებრივ და ფისკალურ დაბრკოლებებთან ერთად, დამატებით გამოწვევებს უქმნიან საქართველოში მოქმედ იურიდიულ პირებს. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის შეფასებას საქართველოს ბიზნეს გარემოს ზეგავლენის შესახებ, კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისგან.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა

2.1 ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) თანახმად, რომლებიც ძალაშია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის, სრული შემოსავლების, ფულადი ნაკადებისა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებებს და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. სხვა სრული შემოსავალი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და მოიცავს შემოსავლების და ხარჯების იმ პუნქტებს (რეკლასიფიცირების კორექტირებების ჩათვლით), რომლებიც არ არის აღიარებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც ეს დადგენილი ან დაშვებულია ფასს-ის თანახმად. რეკლასიფიცირების კორექტირება არის რაოდენობა, რომელიც მიმდინარე პერიოდში რეკლასიფიცირებულია მოგების ან ზარალის სახით და რომელიც მიმდინარე ან წინა პერიოდებში აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავლებში. კომპანიის მფლობელებთან განხორციელებული ტრანზაქციები აღიარებულია კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში.

კომპანია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს კლასიფიკაციას ხარჯების ფუნქციის მიხედვით. კომპანია მიიჩნევს, რომ ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფორმატი ემყარება მიმდინარე/გრძელვადიან დაყოფას.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა *(გაგრძელება)*

2.2 შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები (მაგ: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით). ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უახლესი ტრანზაქციის ფასებს, დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკორექტირებული) ფასებით;
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1 -ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით);
- დონე 3 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები).

2.3 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

2021 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა რიგი ახალი სტანდარტებისა და შესწორებების, თუმცა მათ გავლენა არ ჰქონიათ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

ა) ფასს 4-ის, ფასს 7-ის, ფასს 9-ის, ფასს 16-ისა და ბასს 39-ის შესწორებები – საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის რეფორმა – მეორე ეტაპი;

ბ) ფასს 16-ის შესწორებები - კოვიდ 19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა.

ა) ფასს 4-ის, ფასს 7-ის, ფასს 9-ის, ფასს 16-ისა და ბასს 39-ის შესწორებები – საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის რეფორმა – მეორე ეტაპი

ამ შესწორებების შედეგად, საწარმოს:

• არ მოეთხოვება რეფორმით მოთხოვნილი ცვლილებების გამო ფინანსური ინსტრუმენტების აღიარების შეწყვეტა ან მათი საბალანსო ღირებულების კორექტირება, არამედ ამის ნაცვლად საწარმო შეცვლის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს, რათა ასახოს ალტერნატიული საორიენტაციო საბაზისო განაკვეთის ცვლილება;

2 მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა ***(გაგრძელება)***

2.3 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება ***(გაგრძელება)***

• არ მოეთხოვება ჰედჯირების აღრიცხვის შეწყვეტა მხოლოდ იმის გამო, რომ ის რეფორმით გათვალისწინებულ ცვლილებებს ახორციელებს, თუკი ჰედჯირება აკმაყოფილებს ჰედჯირების აღრიცხვის სხვა კრიტერიუმებს; და

• მოეთხოვება ინფორმაციის გამჟღავნება რეფორმის შედეგად წარმოქმნილი ახალი რისკების შესახებ და ასევე იმის თაობაზე, როგორ მართავს საწარმო ალტერნატიულ საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთებზე გადასვლის პროცესს.

ეს შესწორებები ეხება 2021 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებს.

ბ) ფასს 16 -ის შესწორებები - კოვიდ 19 -თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა.

ფასს 16 -ის „იჯარა“ შესწორებები ეხება გამარტივებულ მიდგომას, რომელიც საწარმოს უფლებას აძლევს, გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, საიჯარო ქირის დათმობა არ აღრიცხოს როგორც იჯარის მოდიფიკაცია, თუ იგი წარმოიშობა კოვიდ-19 -ის პანდემიის პირდაპირი შედეგის სახით.

ეს შეწორება ძალაშია 2021 წლის 1 ივნისიდან.

ფასს 16 -ის შესწორებები – კოვიდ-19 -თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა 2021 წლის 30 ივნისის შემდეგ

ამ შესწორების თანახმად, ზემოაღნიშნული გამარტივებული მიდგომის გამოყენება ნებადართულია ისეთი საიჯარო ქირის დათმობების მიმართ, რომლებიც იწვევს მხოლოდ იმ საიჯარო გადახდების შემცირებას, რომლებიც თავდაპირველი ხელშეკრულების თანახმად გადახდას ექვემდებარებოდა არაუგვიანეს 2022 წლის 30 ივნისისა, იმ პირობით, თუ დაკმაყოფილებულია ამ გამარტივებული მიდგომის გამოყენებისთვის დადგენილი სხვა პირობები.

ეს შესწორება ძალაშია 2021 წლის 1 აპრილიდან. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება, მათ შორის იმ ფინანსურ ანგარიშგებებში, რომლებიც გამოსაცემად დამტკიცებული არ იყო ამ შესწორების დოკუმენტის ძალაში შესვლის თარიღისთვის.

თუ საწარმო ვადაზე ადრე გამოიყენებს დოკუმენტს „კოვიდ 19 -თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა“, მაშინ მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს განმარტებით შენიშვნებში (მათ შორის ზემოთ მოცემულ პუნქტში განსაზღვრული მოთხოვნები) და ამასთან წარმოადგინოს დამატებითი ინფორმაცია.

ზემოთ აღნიშნული ცვლილებები არ ახდენენ გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2.4 ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ანგარიშგების მიმდინარე პერიოდისათვის ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ მიუღია. მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი ცვლილებები:

ა) ფასს 16 -ის შესწორებები - „კოვიდ-19 -თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა“;
ბ) ფასს 17 – სადაზღვევო ხელშეკრულებები;
გ) ბასს 1 -ის შესწორებები - „ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებებად“;
დ) ბასს 16 -ის შესწორებები - „ძირითადი სასუალებები: დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე მიღებული შემოსულობა
ე) ფასს 3 -ის შესწორებები - „კონცეპტუალური საფუძველების მითითება“;
ვ) ბასს 37 -ის შესწორებები - „წამგებიანი ხელშეკრულებები – ხელშეკრულების შესრულების დანახარჯი“;
ზ) „ფასს სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესება - 2018–2021 წლების ციკლი“;
თ) ფასს 10 -ისა და ბასს 28 -ის შესწორებები - „აქტივების გაყიდვა ან საკუთარ კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის დადებული გარიგების ფარგლებში“;

2 მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა ***(გაგრძელება)***

2.4 ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული ***(გაგრძელება)***

ი) ბასს 1-ისა და ფასს სტანდარტების პრაქტიკის დებულება 2 -ის – „ინფორმაციის გამჟღავნება საღრიცხვო პოლიტიკის შესახებ“ – შესწორებები;

კ) ბასს 8-ის შესწორებები – ინფორმაციის გამჟღავნება საღრიცხვო პოლიტიკის შესახებ და საღრიცხვო შეფასების განმარტება;

ლ) ბასს 12-ის შესწორებები – გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი ოპერაციიდან წარმოშობილ აქტივებსა და ვალდებულებებთან.

ფასს 16-ის შესწორებები – კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა 2021 წლის 30 ივნისის შემდეგ: ამ შესწორების თანახმად, ზემოაღნიშნული გამარტივებული მიდგომის გამოყენება ნებადართულია ისეთი საიჯარო ქირის დათმობების მიმართ, რომლებიც იწვევს მხოლოდ იმ საიჯარო გადახდების შემცირებას, რომლებიც თავდაპირველი ხელშეკრულების თანახმად გადახდას ექვემდებარებოდა არაუგვიანეს 2022 წლის 30 ივნისისა, იმ პირობით, თუ დაკმაყოფილებულია ამ გამარტივებული მიდგომის გამოყენებისთვის დადგენილი სხვა პირობები. ეს შესწორება ძალაშია 2021 წლის 1 აპრილიდან.

ფასს 17 – „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ *ადგენს პრინციპებს საწარმოს მიერ დადებული სადაზღვევო ხელშეკრულებების აღიარების, შეფასების, წარდგენისა და მათ შესახებ განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის გამჟღავნებისთვის. გარდა ამისა, სტანდარტი ანალოგიური პრინციპების გამოყენებას მოითხოვს ისეთი გადაზღვევის ხელშეკრულებისა და საინვესტიციო ხელშეკრულებების მიმართაც, რომლებიც შეიცავს დისკრეციული მონაწილეობის პირობებს. ფასს 17 ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.*

ბასს 1-ის – „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ *- შესწორებების შედეგად უფრო ნათლად განისაზღვრა მოთხოვნები, რომლებიც ეხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ვალდებულებების წარდგენას მოკლევადიანი ან გრძელვადიანი ვალდებულების სახით. ასევე უფრო ნათლად არის განმარტებული ვალდებულების დაფარვის მნიშვნელობა. ეს შესწორებები ძალაში შედის შედის 2023 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.*

ბასს 16-ის – „ძირითადი საშუალებები“ *შესწორებები საწარმოს ავალდებულებს, რომ მოგებაში ან ზარალში აღიაროს ისეთი მუხლების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობა, რომლებიც წარმოებულია დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ძირითადი საშუალებების მომზადებისას და ასევე შესაბამისი დანახარჯები, ნაცვლად იმისა, რომ მიღებული თანხები გამოიქვითოს აქტივის თვითღირებულებიდან. ეს შესწორებები ძალაში შედის შედის 2022 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.*

ფასს 3 – „საწარმოთა გაერთიანება“ *- შესწორებების შედეგად განახლდა ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლების მითითება ისე, რომ არ შეცვლილა საწარმოთა გაერთიანების აღრიცხვის მოთხოვნები. ეს შესწორებები ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.*

ბასს 37 – „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“ *– შესწორებების შედეგად უფრო ზუსტად განსაზღვრა დანახარჯები, რომლებსაც საწარმო ითვალისწინებს, როდესაც აფასებს, ხელშეკრულება არის თუ არა წამგებიანი. ეს შესწორებები ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.*

დოკუმენტმა „ფასს სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესება, 2018-2021 წლების ციკლი“ გამოიწვია შემდეგი ცვლილებები:

• ფასს 1-ის, რათა გამარტივებულიყო დაგროვილი საკურსო სხვაობების შეფასების მიმართ ფასს 1-ის გამოყენება იმ შვილობილი საწარმოსთვის, რომელიც მშობელი საწარმოს შემდეგ პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს.

2 მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა ***(გაგრძელება)***

2.4 ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული ***(გაგრძელება)***

• ფასს 9-ის, რათა უფრო ნათელი გამხდარიყო საზღაური, რომელსაც საწარმო ითვალისწინებს იმის დასადგენად, ახალი ან მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულების პირობები არსებითად განსხვავდება თუ არა თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების პირობებისგან;

• ფასს 16-ის მე-13 საილუსტრაციო მაგალითის, რათა გაუქმებულიყო საიჯარო ქონების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით მეიჯარის მიერ განხორციელებული გადახდების ილუსტრაცია;

• ბასს 41-ის, რათა გაუქმებულიყო დაბეგვრიდან ფულადი ნაკადების გამორიცხვის მოთხოვნა, როდესაც საწარმო აფასებს სამართლიან ღირებულებას და ამით ბასს 41-ში მოცემული სამართლიანი ღირებულების შეფასების მოთხოვნები შესაბამისობაში მოსულიყო სხვა ფასს სტანდარტების მოთხოვნებთან.

ეს შესწორებები ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვი

ფასს 10-ისა – „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“ და ბასს 28-ის – „ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში“ *– შესწორებების შედეგად უფრო ნათელი გახდა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოებს შორის განხორციელებული აქტივების გაყიდვის ან საკუთარ კაპიტალში შეტანის ოპერაციების საღრიცხვო მიდგომა. იმ შემთხვევაში, როდესაც არაფულადი აქტივები წარმოადგენს საწარმოს, ინვესტორი აღიარებს მთელ შემოსულობას ან ზარალს, რომელიც დაკავშირებულია ამ აქტივების გაყიდვასთან ან საკუთარ კაპიტალში შეტანასთან. სხვა შემთხვევაში, ინვესტორი შემოსულობას ან ზარალს მხოლოდ იმ ოდენობით აღიარებს, რა ოდენობის წილიც აქვს სხვა ინვესტორს მეკავშირე საწარმოში ან ერთობლივ საწარმოში. ამ შესწორებების ძალაში შესვლა გადავადდა მანამდე, სანამ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო დაასრულებს წილობრივ მეთოდთან დაკავშირებულ კვლევით პროექტს.*

საღრიცხვო პოლიტიკის შესახებ გასამჟღავნებელი ინფორმაციისა და საღრიცხვო შეფასების განმარტების შესწორებები ცვლილებებს იწვევს შემდეგ სტანდარტებში:

• ფასს 7, რათა ნათლად ჩანდეს, რომ საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისთვის, სავარაუდოდ, არსებითი იქნება ფინანსური ინსტრუმენტების შეფასების საფუძვლის შესახებ ინფორმაცია;

• ბასს 1, რათა საწარმოს ინფორმაციის გამჟღავნება მოეთხოვოს არა მნიშვნელოვანი, არამედ არსებითი საღრიცხვო პოლიტიკების შესახებ;

• ბასს 8, რათა უფრო ნათელი გახდეს, როგორ უნდა განასხვაოს საწარმომ საღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება და საღრიცხვო შეფასების ცვლილება;

• ბასს 34, რათა განისაზღვროს არსებითი საღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტის ფარგლებში;

• ფასს სტანდარტების პრაქტიკის დებულება 2 – „არსებითობის განსჯა“, რათა საწარმოს ჰქონდეს მითითებები იმის თაობაზე, როგორ უნდა გამოიყენოს არსებითობის ცნება საღრიცხვო პოლიტიკის შესახებ გასამჟღავნებელ ინფორმაციასთან მიმართებით.

დოკუმენტმა - „გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი ოპერაციიდან წარმოშობილ აქტივებსა და ვალდებულებებთან“ *- გამოიწვია ბასს 12-ის შეცვლა, რათა უფრო ნათელი გამხდარიყო ისეთ ოპერაციებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადის აღრიცხვის წესი, რომლებიც, ოპერაციის განხორციელების მომენტში, წარმოშობს ერთნაირ/ტოლ დასაბეგრ და გამოსაქვით დროებით სხვაობებს. გარკვეულ გარემოებებში, საწარმო თავისუფლდება გადავადებული გადასახადის აღიარებისგან, როდესაც ის პირველად აღიარებს აქტივებს ან ვალდებულებებს. ბასს 12-ის ამ შესწორების დოკუმენტში მითითებულია, რომ გათავისუფლება არ ვრცელდება ისეთ ოპერაციებზე, რომლის დროსაც საწარმო აღიარებს როგორც აქტივს, ისე ვალდებულებას და ამავე დროს წარმოიქმნება ერთნაირი/ტოლი დასაბეგრი და გამოსაქვითი დროებითი სხვაობები. ასე შეიძლება მოხდეს ისეთი ოპერაციების შემთხვევაში, როგორიცაა იჯარა და ექსპლუატაციიდან ამოღების, ადგილმდებარეობის აღდგენისა და მსგავსი ვალდებულებები. ასეთ ოპერაციებთან დაკავშირებით საწარმო ვალდებულია აღიაროს გადავადებული გადასახადი.*

კომპანია არ მოელის სტანდარტების ძალაში შესვლამ არსებითი ცვლილებები გამოიწვიოს ფინანსურ ანგარიშგებაში.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა *(გაგრძელება)*

2.5 ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას აღიარებს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივის/ვალდებულების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივის/ვალდებულების გარიგების ფასი, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც კლასიფიცირდება "სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით", მოიცავს უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც გაწეულ იქნა ფინანსური ინსტრუმენტის შესაძენად/გამოსაშვებად. ფინანსური აქტივების/ვალდებულებების გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც კლასიფიცირდება "სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით", დაუყოვნებლივ გატარდება ხარჯებში.

კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, ანუ აქტივი აღიარდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდგომი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდგომი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის გაყიდვა რეალური ღირებულებით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ყველა სხვა ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება და ფასდება *"რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით"*, თუ საწარმო არ გააკეთებს შეუქცევად არჩევანს, რომ თავდაპირველი აღიარებისას წილობრივ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ასახოს სხვა სრულ შემოსავალში (რომელიც არ არის გამიზნული გასაყიდად ან არ არის აღიარებული პირობით ასანაზღაურებელ თანხად ბიზნესგაერთიანების დროს).

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების რეზერვის ხარჯის გაანგარიშების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს კომპანიის მიერ ფინანსური აქტივების რისკების შეფასება, კერძოდ, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებიდან, კომპანია ახდენს მომდევნო 12 თვის სავარაუდო საკრედიტო ზარალის რეზერვის გაანგარიშებას, რომელიც წარმოადგენს მომდევნო 12 თვის განმავლობაში არახელსაყრელი გარემოებების განვითარების შედეგად ფინანსური აქტივის შესაძლო გაუფასურების ზარალს. თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან აშკარაა მისი გაუფასურება, კომპანია ქმნის რეზერვს, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ ზარალს. ამ შემთხვევაში ფინანსური აქტივის გაუფასურების რეზერვი არის ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემცირება, დისკონტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა ***(გაგრძელება)***

2.5 ფინანსური ინსტრუმენტები ***(გაგრძელება)***

ფინანსური აქტივების ღირებულების ნებისმიერი ცვლილება, რაც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - აისახება სხვა სრულ შემოსავალში, ყველა სხვა შემთხვევაში - მოგება-ზარალში.

იმ დებიტორული დავალიანებებისათვის, რომლებიც არ უფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია გაუფასურების რეზერვს განსაზღვრავს კოლექტიურად, რომელიც დაფუძნებულია გადასახდელების მოკრების კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე, პორტფელში დაგვიანებული გადახდების ზრდაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაში ცვლილებებზე და სხვ.

დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვის გაანგარიშების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

ვადაგადაცილების დღეები	30 დღეზე ნაკლები	31 - 60 დღე	61 - 90 დღე	91 - 180 დღე	180 დღეზე მეტი
დარეზერვების პროცენტულობა	2%	5%	25%	50%	100%

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, თუ გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდში შემცირდება და ეს შემცირება გამყარებულია ობიექტური მტკიცებულებით გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარი მოვლენებით, მაშინ ხდება წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (პირდაპირ ან დებიტორული დავალიანების საეჭვო მოთხოვნების რეზერვის კორექტირებით) მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. თუმცა, უკან დაბრუნების შედეგად, საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა თუ არ აღიარდებოდა გაუფასურება გაუფასურების უკან დაბრუნების დღეს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან ფასს 9-ით დადგენილ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს "შინაარსის ფორმაზე აღმატებულების" პრინციპზე დაყრდნობით. კრიტერიუმები მოიცავს ორი სხვადასხვა სახის შეფასებას, რომელიც ხორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

- მესაკუთრეობის რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება;
- კონტროლის გადაცემის შეფასება.

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. კომპანია ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას ახდენს ორ კატეგორიად:

სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)- ვალდებულებები ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება, როდესაც მათი ფლობის მთავარი მიზანი უახლოეს მომავალში მათი გაყიდვა ან გამოსყიდვაა (სავაჭრო ვალდებულებები) ან ისინი წარმოადგენენ წარმოებულ ინსტრუმენტებს (გარდა წარმოებული ინსტრუმენტებისა, რომლებიც განკუთვნილია ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტად) ან თავდაპირველი აღიარებისას აკმაყოფილებენ პირობებს ამ კატეგორიაში მოსახვედრად. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი ცვლილება წარმოშობისთანავე აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სხვა ფინანსური ვალდებულებები - ყველა ვალდებულება, რომელიც არ გადანაწილდა წინა ჯგუფში, ხვდება აღნიშნულ კატეგორიაში. აღნიშნული ვალდებულებები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა *(გაგრძელება)*

2.5 ფინანსური ინსტრუმენტები *(გაგრძელება)*

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან (90 დღემდე) ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

2.6 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც გამოიყენება მომსახურების გასაწევად, ივჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა ხდება დარიცხული ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითად საშუალებაზე ცვეთის დარიცხვა ხდება მისი მომსახურების ვადის განმავლობაში, შემდეგნაირად:

საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	20% წრფივი
ივჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	14% წრფივი

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულებისა და ცვეთის მეთოდების გადახედვა და კორექტირება, აუცილებლობის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

2.7 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ (ა) ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (საიმედო) შეფასება.

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივის თვითღირებულება მოიცავს მისი შესყიდვის ფასს, მათ შორის იმპორტის გადასახადს და უკანდაუბრუნებად გადასახადებს, სავაჭრო დისკონტების და ფასდაკლებების დაქვითვის შემდეგ და აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო ნებისმიერ სხვა პირდაპირ ხარჯს.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა *(გაგრძელება)*

2.7 არამატერიალური აქტივები *(გაგრძელება)*

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები ფასდება თვითღირებულებისთვის დარიცხული ამორტიზაციისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო გამოყენების ვადისა და ამორტიზაციის მეთოდის გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

ამორტიზაცია

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია წარმოებს იმგვარად, რომ მოხდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურების 7-10 წლიანი ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია არ წარმოებს, მაგრამ ისინი ექვემდებარებიან გაუფასურებისთვის შემოწმებას, როგორც ეს დადგენილია ქვემოთ.

2.8 არაფინანსური აქტივების გაუფასურება

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

აქტივების საბალანსო ღირებულება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს შემოწმდება გაუფასურებაზე და აქტივის გაუფასურების შემთხვევაში, ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი აქტივის გამოყენების ღირებულებასა და რეალიზაციის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალურად აქტივისთვის იმ შემთხვევაში თუ აქტივი წარმოქმნის ფულად სახსრებს სხვა აქტივისგან ან აქტივთა ჯგუფისგან დამოუკიდებლად. ხოლო თუ აქტივი წარმოქმნის ფულად სახსრებს სხვა აქტივებთან ან აქტივთა ჯგუფთან ერთად, მაშინ ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის, რომელზეც მიბმულია აქტივთა ჯგუფი.

გამოყენების ღირებულება არის აქტივის/ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის მომავალში გამოყენების შედეგად მისაღები ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება. მიმდინარე ღირებულება გამოითვლება დაბეგვრამდე დისკონტირებული განაკვეთებით, რომლებიც ასახავენ დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და გარკვეულ აქტივთან/ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულთან დაკავშირებულ რისკებს, რომლის გაუფასურების შეფასებას აქვს ადგილი.

2.9 უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორისი სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და სამართლიანი ღირებულებით ასახული არაფულადი პუნქტები (მაგ: გასაყიდად არსებული წილობრივი ინსტრუმენტები) კონვერტაციას ექვემდებარება იმ დღის გაცვლითი კურსის გამოყენებით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა *(გაგრძელება)*

2.9 უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები *(გაგრძელება)*

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი		
	დოლარი	**ევრო**	**ფუნტი**
გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3.0976	3.5040	4.1737
გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3.2766	4.0233	4.4529
საშუალო გაცვლითი კურსი 2021 წლისათვის	3.2209	3.8140	4.4325
საშუალო გაცვლითი კურსი 2020 წლისათვის	3.1097	3.5519	3.9914

2.10 მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98[1]-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

2.11 ანარიცხები

თუ წარსული მოვლენების შედეგად, საანგარიშგებო თარიღის მომენტისთვის კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული) და სავარაუდოა, რომ კომპანია შეასრულებს მოვალეობას, მაშინ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხები. ანარიცხები ფასდება ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხით და დისკონტირდება მიმდინარე ღირებულებამდე, გადასახადებამდე მოქმედი განაკვეთით, რაც ასახავს დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და გარკვეულ ვალდებულებასთან დაკავშირებულ რისკებს მიმდინარე საბაზრო პირობებით. შეფასებებში ცვლილება აისახება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, მათი დადგომის შესაბამისად.

2.12 კაპიტალი

წილობრივი ინსტრუმენტები წარმოადგენენ ხელშეკრულებებს, რომლებიც ადასტურებენ კომპანიის აქტივებში მისი ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის უფლებას. ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი. წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება ტრანზაქციიდან მიღებული თანხის ოდენობით, გარიგებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების გამოკლების შემდეგ. თუ აღნიშნული შემოსულობები აღემატება გამოშვებულ აქციათა ნომინალურ ღირებულებას, ისინი აისახება საემისიო კაპიტალში.

დივიდენდების განაწილება

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებებად, მათი გამოცხადების მომენტისთვის (ანუ არსებობს დივიდენდებზე სათანადო უფლებამოსილება და ისინი აღარ წარმოადგენენ სუბიექტის უფლებას). შუალედური დივიდენდები აღიარდება გადახდისთანავე.

2.13 შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც: მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა ***(გაგრძელება)***

2.13 შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება *(გაგრძელება)*

თოთოეულ კონტრაქტთან დაკავშირებით საწარმო ახდენს: ხელშეკრულების იდენტიფიცირებას, ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებებს; განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც ითვალისწინებს ცვლადი ანაზღაურების თანხისა და ფულის დროითი ღირებულების შეფასებებს; გარიგების ფასს ანაწილებს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლის ან მომსახურების გაცემას მომხმარებელზე.

საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აისახება ყველა სავალო ინსტრუმენტთან მიმართებით დარიცხვის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მეშვეობით. აღნიშნული მეთოდით, საპროცენტო შემოსავლებსა და ხარჯებში კლასიფიცირდება ხელშეკრულების მხარეების მიერ გადახდილი და მიღებული ყველა საზღაური, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, საოპერაციო ხარჯები და ყველა სხვა პრემია და დისკონტი.

საზღაურები, რომლებიც წარმოადგენენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, მოიცავენ საზღაურებს, რომლებიც მიღებულ ან გადახდილ იქნა სუბიექტის მიერ ფინანსური აქტივის შექმნასა ან შეძენასთან ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან დაკავშირებით, მაგალითად როგორიცაა კრედიტუნარიანობის დადგენისთვის, გარანტიებისა თუ უზრუნველყოფის შეფასებისთვის, ინსტრუმენტის პირობების შეთანხმებისთვის და გარიგებასთან დაკავშირებული დოკუმენტების დამუშავების საზღაურები.

2016 წლის იანვარში ბასს-მა გამოსცა ახალი სტანდარტი იჯარის აღრიცხვისთვის - ფასს 16 "იჯარა". ახალი სტანდარტით მნიშვნელოვნად არ იცვლება იჯარის აღრიცხვა მეიჯარეებისთვის. თუმცა, მოიჯარეებს იგი ავალდებულებს იჯარების უმეტესობის თავიანთ ბალანსზე აღიარებას საიჯარო ვალდებულებების სახით, აქტივების შესაბამისი გამოყენების უფლებით. მოიჯარეებმა ყველა აღიარებული იჯარისთვის ერთიანი მოდელი უნდა გამოიყენონ, თუმცა მათ უფლება აქვთ არ აღიარონ "მოკლევადიანი" იჯარები და იჯარები "დაბალი ღირებულების მქონე" აქტივებით. ზოგადად, აღიარებულ იჯარაზე მოგების ან ზარალის აღიარების წესი დღეისათვის მოქმედი ფინანსური იჯარის აღრიცხვის წესის მსგავსი იქნება და საპროცენტო ხარჯი და საამორტიზაციო ანარიცხების აღიარება ცალკე მოხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

კომპანიის იჯარები არის მოკლევადიანი. მოკლევადიანი იჯარები არის იჯარები, რომელთა საიჯარო ვადა შეადგენს 12 თვეს ან ნაკლებს. მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული გადახდები აღიარებულია წრფივი მეთოდის საფუძველზე, როგორც ხარჯი მოგება - ზარალში.

კომპანია იჯარის ვადად მიიჩნევს იჯარის არაგაუქმებად პერიოდს, შემდეგ პერიოდებთან ერთად:

ა) პერიოდები, რომლებზეც ვრცელდება იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას; და

ბ) პერიოდები, რომლებზეც ვრცელდება იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე არ გამოიყენებს ამ უფლებას.

2.14 ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგადაიფარება და აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა თანხით მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის კანონიერი უფლება და არსებობს განზრახვა იმისა, რომ აღნიშნული თანხები ანაზღაურდეს წმინდა ღირებულებით ან მოხდეს აქტივების და ვალდებულებების ანაზღაურება ერთდროულად.

შემოსავლებისა და ხარჯების ურთიერთგადაფარვა არ ხდება, თუ ის არ მოითხოვება და ნებადართული არ არის ფასს-ის მიხედვით და არ არის თანდართული კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

3 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს-ის მიხედვით მენეჯმენტისგან სააღრიცხვო შეფასებებსა და მსჯელობების გამოყენებას მოითხოვს, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე აისახება. სააღრიცხვო შეფასებები კეთდება ისტორიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, მათ შორის მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით მენეჯმენტის იმ მოლოდინების გათვალისწინებით, რომელიც დასაბუთებული ჩანს არსებულ პირობებში. მსჯელობები, რომლებიც განსაკუთრებულად აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებები, რამაც შესაძლოა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება გამოიწვიოს მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში მოიცავს:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურეობის ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურეობის ვადის შეფასება ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას მსგავსი აქტივების შეფასებასთან მიმართებაში. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურეობის ვადის განსაზღვრისას მენეჯმენტი ითვალისწინებს სავარაუდო გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ გაუმართაობას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, სადაც ამ აქტივს უხდება მუშაობა. შეფასებებში ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს მომავალში ცვეთის ხარჯის კორექტირება.

ბ) ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება სამომავლო ვალდებულებებისთვის, როდესაც კომპანიას აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენების საფუძველზე და სავარაუდოა, რომ კომპანიას მოეთხოვოს ამ ვალდებულებების შესრულება. ანარიცხები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ ვალდებულებად აღიარების კრიტერიუმებს, თანდართულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში როგორც პირობითი ვალდებულებები, რადგანაც, მათი არსებობა დადასტურდება მხოლოდ რომელიმე არასარწმუნო სამომავლო გარემოების დადგომისას, რომელიც მთლიანად არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს.

გ) გადასახადები

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირების საშუალებას. კომპანიის მენეჯმენტი აღიარებს ვალდებულებებს მოსალოდნელი დამატებითი საგადასახადო გაანგარიშებებისთვის საგადასახადო აუდიტის შეფასებების შედეგის საფუძველზე, არის თუ არა იმის ალბათობა, რომ კომპანიას დაეკისრება დამატებითი გადასახადები. როცა საბოლოო საგადასახადო შედეგები განსხვავდება თავდაპირველად აღრიცხული რაოდენობისგან, ეს სხვაობები გავლენას ახდენენ იმ პერიოდზე, როცა აღნიშნული განსაზღვრებები გაკეთდა.

4 ფული და ფულის ეკვივალენტები

	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	1,507	967
ნაშთი მიმდინარე საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	10,269	26,450
ნაშთი მიმდინარე საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	34,069	6,222
მოკლევადიანი საბანკო დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში	41,670	44,078
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	**87,515**	**77,717**

დეპოზიტები შედგება მოკლევადიანი დეპოზიტებისგან, რომელთაც ერიცხებათ საპროცენტო განაკვეთი 0.75% - 3%-მდე შესაბამისი დეპოზიტის განაკვეთის საფუძველზე.

2021 და 2020 წლების მანძილზე დეპოზიტებიდან მიღებული შემოსავლის შესახებ ინფორმაცია იხილეთ მე-17 განმარტებით შენიშვნაში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ იყო არსებითი სხვაობა ფული და ფულის ეკვივალენტების საბალანსო ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

5 დებიტორული დავალიანება

	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
სავაჭრო მოთხოვნები	41,428	81,585
გადახდილი ავანსები	4,364	4,663
მინუს: საეჭვო მოთხოვნების რეზერვი	(24,875)	(27,025)
სულ დებიტორული დავალიანება	**20,917**	**59,223**

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ იყო არსებითი სხვაობა დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

6 დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები

	ვალუტა	საწყისი თანხა ვალუტაში	დაფარვის ვადა	სარგებელი	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
m2 უძრავი ქონება	აშშ დოლარი	61,000	07-ოქტ-2022	7.50%	192,489	218,435
სულ გაუფასურების რეზერვამდე					**192,489**	**218,435**
ფასიანი ქაღალდების გაუფასურების ანარიცხი (შენიშვნა 19)					(1,925)	(2,184)
წმინდა დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები					**190,564**	**216,251**

საპროცენტო შემოსავალი დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივებიდან იხილეთ მე-17 განმარტებით შენიშვნებში. საანგარიშგებო პერიოდში არ ყოფილა არსებითი სხვაობა კუპონის განაკვეთისა და ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს შორის.

7 ძირითადი საშუალებები

	ოფისის აღჭურვილობა	ივარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	**სულ**
ისტორიული ღირებულება			
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**27,075**	**4,600**	**31,675**
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**27,075**	**4,600**	**31,675**
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**27,075**	**4,600**	**31,675**
ცვეთა და გაუფასურება			
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(26,016)**	**(2,932)**	**(28,948)**
ცვეთა წლის მანძილზე	(930)	(690)	**(1,620)**
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(26,946)**	**(3,622)**	**(30,568)**
ცვეთა წლის მანძილზე	(102)	(690)	**(792)**
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(27,048)**	**(4,312)**	**(31,360)**
წმინდა საბალანსო ღირებულება			
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,059**	**1,668**	**2,727**
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**129**	**978**	**1,107**
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**27**	**288**	**315**

2021 წლის ბოლოსთვის, კომპანიას გააჩნია სრულად გაცვეთილი აქტივები, რომელთა ჯამური ისტორიული ღირებულება 26,873 ლარია (2020 წელი: 26,873 ლარი).

8 არამატერიალური აქტივები

	ლიცენზია	კომპიუტერული პროგრამები	**სულ**
ისტორიული ღირებულება			
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**450**	**21,394**	**21,844**
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**450**	**21,394**	**21,844**
ჩამოწერა	(450)	-	**(450)**
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**21,394**	**21,394**
ამორტიზაცია			
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(450)**	**(12,209)**	**(12,659)**
ამორტიზაცია წლის მანძილზე	-	(1,468)	**(1,468)**
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(450)**	**(13,677)**	**(14,127)**
ამორტიზაცია წლის მანძილზე	-	(1,377)	(1,377)
ჩამოწერილი არამატერიალური აქტივის აკუმ. ამორტიზაცია	450	-	450
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**(15,054)**	**(15,054)**
წმინდა საბალანსო ღირებულება			
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**9,185**	**9,185**
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**7,717**	**7,717**
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**6,340**	**6,340**

2021 წლის ბოლოსთვის კომპანიას აქვს სრულად ამორტიზირებული კომპიუტერული პროგრამის ლიცენზია, რომლის ისტორიული ღირებულება შეადგენს 1,054 ლარს.

9 ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში

კომპანია ფლობს სს ,,საქწყალპროექტის" აქციათა 1.64%-ს. 2021 და 2020 წლებში კომპანიას დივიდენდი არ მიუღია. 2017 წლის 31 დეკემბრამდე ხელმძღვანელობდა ბასს 39-ით, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ ფინანსურ აქტივს ფინანსურ ანგარიშგებაში წარადგენდა დანახარჯების მეთოდით. 2018 წლის 01 იანვრიდან ძალაში შესული ფასს 9-ის მიხედვით კომპანია ვალდებულია მსგავსი ფინანსური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში წარადგინოს სამართლიანი ღირებულებით. ვინაიდან რეალური ღირებულების შესაფასებლად საჭირო ახალი ინფორმაცია არ არის კომპანიისთვის ხელმისაწვდომი, ხელმძღვანელობამ გამოიყენა ფასს 9-ის ბ5.2.3 პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისის უფლება და რეალური ღირებულების მართებულ შეფასებად მიიჩნია თვითღირებულება, 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

10 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-დეკ-2021	**31-დეკ-2020**
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	2,301	22,041
მიღებული ავანსები	2,177	2,558
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**4,478**	**24,599**

11 გადასახდელი ხელფასის ანარიცხი

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადასახდელი ხელფასის ანარიცხი უკავშირდებოდა კომპანიის ყოფილი მმართველი ორგანოს წევრების და ყოფილი თანამშრომლისთვის გადასახდელ ხელფასს, რომელთანაც 2020 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა სასამართლო დავები. 2021 წლის განმავლობაში კომპანიამ სრულად დაფარა ყოფილი მმართველი ორგანოს წევრების მიმართ სასამართლოს მიერ დაკისრებული ვალდებულება. შესაბამისად, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადასახდელი ხელფასის ანარიცხი მოიცავს მხოლოდ ყოფილი თანამშრომლისთვის გადასახდელი ხელფასის ანარიცხს, რომელთანაც ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღის მდგომარეობითაც მიმდინარეობს სასამართლო დავა (იხ. შენიშვნა 21.2).

ანარიცხი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**25,485**
დარიცხვა	33,486
ანარიცხი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**58,971**
გადახდა	(14,171)
დარიცხვა	9,600
ანარიცხი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**54,400**

2019 წელს კომპანიამ შექმნა ანარიცხი ყოფილი თანამშრომლისთვის გადასახდელი თანხის 50%-ის ოდენობით. მსგავსი შინაარსის დავებზე საქართველოში არსებული სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით მიმდინარე პერიოდში კომპანიის მოლოდინია, რომ სასამართლო დავა 50%-ზე მეტი ალბათობით დასრულდება ყოფილი თანამშრომლის სასარგებლოდ. შესაბამისად, საანგარიშგებო პერიოდის თარიღისთვის ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია გადასახდელი ხელფასის ანარიცხი ყოფილი თანამშრომლისთვის 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადასახდელი თანხის 100%-ის ოდენობით.

12 საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი შედგება 15,000 ცალი ნებადართული 1 ლარი ნომინალური ღირებულების მქონე ჩვეულებრივი აქციისგან, საიდანაც განთავსებული ჩვეულებრივი აქციის ოდენობაა 14,600 ცალი აქცია. კომპანიას 2021 და 2020 წლის განმავლობაში ახალი აქციები არ გამოუშვია.

2021 და 2020 წლის განმავლობაში კომპანიას აქციონერებზე დივიდენდი არ გაუნაწილებია.

კაპიტალის მართვა

საკუთარი კაპიტალის მართვისას (რომელსაც კომპანია განმარტავს, როგორც თავის ფასს-ის მიხედვით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ წმინდა აქტივებს) კომპანიის მიზანია, შექმნას რისკების დაზღვევისთვის საკმარისი ბუფერი და უზრუნველყოს კომპანიის ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენის უნარი, რათა მან გააგრძელოს დაინტერესებული მხარეებისთვის სარგებლის შექმნა და დააგენერიროს უკუგება აქციონერებისთვის.

ამ მიზნების მისაღწევად კომპანია აფასებს პროდუქტებისა და პროექტების თანმდევ რისკებს და შესაბამისობას კაპიტალურ ბუფერებთან; მუდმივად განახლებადი ფინანსური ანგარიშგებების წარმოებით მართავს და აკონტროლებს საკუთარი კაპიტალის შესაბამისობას რისკებთან და კაპიტალის მოთხოვნებთან.

სს "კავკასრეესტრს" საქართველოს ეროვნული ბანკი ("სებ") უსაზღვრავს საკუთარი კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებს. ეროვნული ბანკის მოთხოვნის თანახმად სს "კავკასრეესტრის" საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობა უნდა შეადგენდეს 250,000 ლარს. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს "კავკასეესტრის" საკუთარი კაპიტალი არის 298,804 ლარი (2020 წელი: 329,443 ლარი), შესაბამისად კომპანია აკმაყოფილებს მინიმალური საკუთარი კაპიტალის მოთხოვნებს. სებ-ის მიერ დაწესებული მოთხოვნების მართვა ინტეგრირებულია კაპიტალის მართვის საერთო ჩარჩოში და კონტროლირდება დინამიურად კომპანიის მენეჯმენტის მიერ.

13 მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავალი	2021	2020
სააბონენტო შემოსავალი ემიტენტებისგან	77,774	77,547
ემიტენტის აქციების გასხვისებისგან მიღებული საკომისიო შემოსავალი	14,741	41,285
ბირჟაზე გარიგების დაფიქსირების საკომისიო	10	19,662
სხვა საოპერაციო შემოსავალი	12,934	20,194
სულ მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავალი	**105,459**	**158,688**

14 ხელფასის ხარჯი	2021	2020
ხელფასი	74,049	73,149
ყოფილი მმართველი ორგანოსა და თანამშრომლისთვის განაცდური ხელფასის ანაზღაურების ანარიცხი	12,000	41,857
პრემია	6,691	-
საპენსიო შენატანის ხარჯი	1,606	1,459
სულ ხელფასის ხარჯი	**94,346**	**116,465**

ყოფილი მმართველი ორგანოსა და თანამშრომლისთვის განაცდური ხელფასის კომპენსაციისთვის კომპანიამ გააკეთა არაგანმეორებადი ხარჯის 100%-იანი ანარიცხი (იხილეთ შენიშვნა 11).

15 ოფისის იჯარის ხარჯი

2021 წლის განმავლობაში იჯარის ხარჯმა, რომელიც მოიცავს ოფისის იჯარას, შეადგინა 23,182 ლარი (2020 წელი: 22,595 ლარი).

16 სხვა ხარჯები	2021	2020
მონაცემთა ბაზით სარგებლობის ხარჯი	4,944	4,509
ავტორიზაციის უფლების ხარჯი	1,460	1,500
საფოსტო ხარჯი	616	595
დაზღვევა	-	1,378
სხვადასხვა მომსახურების ხარჯები	3,457	4,591
სულ სხვა ხარჯები	**10,477**	**12,573**

17 ფინანსური შემოსავალი	2021	2020
შემოსავალი ფასიანი ქაღალდებიდან	14,726	14,379
საბანკო დეპოზიტებისგან მიღებული პროცენტი	325	317
სულ ფინანსური შემოსავალი	**15,051**	**14,696**

18 კურსთაშორისი სხვაობის წმინდა მოგება / (ზარალი)

	ფული და ფულის ექვივალენტები	დებიტორული დავალიანება	დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	კრედიტორული დავალიანება	სულ
მოგება კურსთაშორისი სხვაობიდან	3,897	3,299	15,072	104	**22,372**
ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან	(9,164)	(3,954)	(25,033)	(103)	**(38,254)**
2021 წლის კურსთაშორისი სხვაობის წმინდა მოგება/(ზარალი)	**(5,267)**	**(655)**	**(9,961)**	**1**	**(15,882)**

	ფული და ფულის ექვივალენტები	დებიტორული დავალიანება	დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	კრედიტორული დავალიანება	სულ
მოგება კურსთაშორისი სხვაობიდან	12,820	10,837	53,459	342	**77,458**
ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან	(6,583)	(8,220)	(27,423)	(397)	**(42,623)**
2020 წლის კურსთაშორისი სხვაობის წმინდა მოგება/(ზარალი)	**6,237**	**2,617**	**26,036**	**(55)**	**34,835**

19 ცვლილება ფინანსური აქტივის გაუფასურების რეზერვში

	დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები	დებიტორული დავალიანება	სულ
2019 წლის 31 დეკემბერი	**(1,781)**	**(25,752)**	**(27,533)**
წლის განმავლობაში ჩამოწერილი თანხები	-	8,889	8,889
წლის განმავლობაში ამოღებული თანხები	-	5,776	5,776
რეზერვის ხარჯი წლის განმავლობაში	(404)	(15,937)	(16,341)
2020 წლის 31 დეკემბერი	**(2,185)**	**(27,024)**	**(29,209)**
წლის განმავლობაში ჩამოწერილი თანხები	-	2,208	2,208
წლის განმავლობაში ამოღებული თანხები	260	7,215	7,475
რეზერვის ხარჯი წლის განმავლობაში	-	(7,274)	(7,274)
2021 წლის 31 დეკემბერი	**(1,925)**	**(24,875)**	**(26,800)**

20 შემოსავალი / (ზარალი) ერთ აქციაზე

ჩვეულებრივ შემოსავალი ერთ აქციაზე გამოითვლება წლის მოგებისა და წლის მანძილზე საშუალო შეწონილი ჩვეულებრივი აქციების რაოდენობის შეფარდებით. კომპანია ფლობს მხოლოდ ჩვეულებრივ აქციებს.

	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
მოგება/(ზარალი) მიმდინარე წლისთვის	(30,639)	9,958
აქციების რაოდენობის საშუალო შეწონილი	14,600	14,600
საბაზისო	**(2.10)**	**0.68**

21 პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები

21.1 დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს სასამართლო გადაწყვეტილებებისა და დებულებების ხშირი ცვლილება. საგადასახადო ნორმები ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია კომპანიას დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული.

ზემოხსენებული ვითარებები წარმოქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების კომპანიისგან განსხვავებულმა პოზიციამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

21.2 სასამართლო დავები

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანიის მიმდინარე დავა ეხება სს „კავკასრეესტრის“ ყოფილი თანამშრომლის გათავისუფლების კანონიერებასა და მისთვის განაცდური ხელფასების კომპენსაციას.

აღნიშნული დავის უარყოფითად დასრულების შემთხვევაში, კომპანიას დაეკისრება ყოფილი თანამშრომლის განაცდური ხელფასის ანაზღაურება (ყოველთვიური 1,000 ლარის ოდენობით 2016 წლის 01 ივნისიდან სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე). აღნიშნული დავა საქალაქო და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოებში გადაწყვეტილი იყო დასაქმებულის სასარგებლოდ. თუმცა 2022 წლის 22 თებერვლის განჩინებით, უზენაესმა სასამართლომ გაუქმა სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რაც ნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლო ვალდებულია ხელახლა განიხილოს აღნიშნული საქმე. მსგავსი შინაარსის დავებზე საქართველოში არსებული სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით კომპანიის მენეჯმენტის მოლოდინია, რომ დავა 50%-ზე მეტი ალბათობით დასრულდება ყოფილი თანამშრომლის სასარგებლოდ და შესაბამისად შექმნა გადასახდელი ხელფასის ანარიცხი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (იხილეთ შენიშვნა 11).

სხვა სასამართლო დავები ამჟამად განიხილება სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებში. პარალელურად მიმდინარეობს სარეგისტრაციო საქმის წარმოება საჯარო რეესტრში, რომელიც კავშირშია ზემოაღნიშნული დავების მიმდინარეობასთან. სს „კავკასრეესტრის“ მენეჯმენტის მოლოდინია, რომ აღნიშნული დავების უმრავლესობა 50% იანი ალბათობით დასრულდება კომპანიის სასარგებლოდ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე დავა (ან დავები) დასრულდება კომპანიის საწინააღმდეგოდ, კომპანია არ ელოდება ისეთი სახის მატერიალურ ზარალს, რომელიც საფრთხის ქვეშ დააყენებს მის არსებობას ან გამოიწვევს მიმდინარე საქმიანობის სერიოზულ შეფერხებას.

22 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის;
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომ კომპანიას არ ექნება ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით;
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:
  - საპროცენტო რისკი
  - სავალუტო რისკი

22 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ *(გაგრძელება)*

კომპანიის ხელმძღვანელობა რისკების მართვას ახორციელებს კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან თანამშრომლობით. კომპანიის შედარებით მარტივი ოპერაციების გამო, არ არის რისკების საერთო მართვის თაობაზე წინასწარ დადგენილი პოლიტიკა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	87,515	77,717
დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები	190,564	216,251
დებიტორული დავალიანება	20,917	59,223
ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში	54,085	54,085
სულ ფინანსური აქტივები	**353,081**	**407,276**
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,478	24,599
სულ ფინანსური ვალდებულებები	**4,478**	**24,599**

22.1 საკრედიტო რისკი

კომპანია საკრედიტო რისკის საფრთხეს აკონტროლებს ინდივიდუალურ მომხმარებლებზე ლიმიტების დაწესებით. მომხმარებლის საკრედიტო ლიმიტების დაწესების დროს გამოიყენება სხვადასხვა სააგენტოები, მომხმარებლის საცხოვრებელი ქვეყნის მიხედვით. კომპანიას შემუშავებული აქვს კრედიტუნარიან კლიენტებთან საქმის წარმოების პოლიტიკა.

არ შეინიშნება საკრედიტო რისკების მნიშვნელოვანი კონცენტრაცია.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
ფული და ფულის ეკვივალენტები	87,515	77,717
დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინ. აქტივები	190,564	197,688
დებიტორული დავალიანება	20,917	59,223
ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში	54,085	54,085
სულ საკრედიტო რისკი	**353,081**	**388,713**

როგორც შენიშვნა 4 განმარტავს, ფული და ფულის ექვივალენტის ბალანსი აღნიშნავს საბანკო ანგარიშზე არსებულ ნაშთსა და მოკლევადიან საბანკო დეპოზიტებს. კომპანია არ ფლობს უზრუნველყოფას მის მიერ მისაღები ნებისმიერი დებიტორული დავალიანებისა და დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებისათვის. დებიტორულ დავალიანებებს კომპანია მართავს ვადაგადაცილების დღეების მიხედვით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

კომპანია იყენებს გაუფასურების 3-დონიან მოდელს, რომელიც დაფუძნებულია ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდგომ მისი საკრედიტო რისკის ხარისხის ცვლილებაზე, რომელიც ჩამოთვლილია ქვემოთ:

- ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ არის გაუფასურებული საწყისი აღიარებისას, კლასიფიცირდება როგორც I დონე და მისი საკრედიტო რისკი განგრძობითად კონტროლირებადია კომპანიის მიერ;
- თუ საწყისი აღიარების შემდგომ დაფიქსირდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, მაშინ ფინანსური ინსტრუმენტი გადადის II დონეში, მაგრამ ამ ეტაპზე არ მიიჩნევა გაუფასურებულად;

22 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ *(გაგრძელება)*

22.1 საკრედიტო რისკი *(გაგრძელება)*

- თუ ფინანსური ინსტრუმენტი გაუფასურებულია, მაშინ ის გადადის III დონეში;
- I დონის ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის პროპორციული წლის მომდევნო 12 თვეში მოსალოდნელი მოვლენებისა. ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი II და III დონისთვის გამოითვლება როგორც არსებობს მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს კომპანიის მიერ გამოყენებულ გაუფასურების მეთოდს.

I დონე	II დონე	III დონე
(საწყისი აღიარება)	(საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა საწყისი აღიარების შემდეგ)	(გაუფასურებული აქტივი)
12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	არსებობის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ხარჯი	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

კომპანია ფინანსური ანგარიშგების ყველა ფინანსურ აქტივს, გარდა დებიტორული დავალიანებისა, ასახავს I დონეში როგორც 2021 წლის დასაწყისში, ასევე 2021 წლის ბოლოს.

დებიტორული დავალიანებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას, რომელიც დაფუძნებულია ვადაგადაცილებულ დღეებზე. კომპანიას აქვს 5 ვადაგადაცილების დონე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის პროცენტი დაფუძნებულია კომპანიიის საოპერაციო სექტორსა და მის წარსულ გამოცდილებაზე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცხრილი ვადაგადაცილებისა და პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით მოცემულია ქვემოთ.

ვადაგადაცილების დღეები	< 30	31-60	61-90	91-180	> 180
დარეზერვების პროცენტულობა	2%	5%	25%	50%	100%

დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დაფუძნებულია მისი პირველადი აღიარების შემდგომ საკრედიტო რისკის ცვლილებაზე.

ზარალის ანარიცხი ითვლება მოცემული საფუძვლებიდან ერთ-ერთით: ა) 12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - თუ ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მისი საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვან ზრდას არ განიცდის; ბ) არსებობის მანძილზე არსებული საკრედიტო ზარალი - თუ ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მისი საწყისი აღიარების შემდეგ განიცდის მნიშვნელოვან ზრდას.

იმის გათვალისწინებით, რომ საკრედიტო რისკი საწყისი აღიარების შემდგომ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა, კომპანია დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინ. აქტივებისთვის იყენებს 12 თვიან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიდგომას.

22 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ *(გაგრძელება)*

22.2 ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

კომპანია ლიკვიდურობის რისკს მართავს მოსალოდნელ ვადიანობაზე დაყრდნობით.

ამჟამად, კომპანია გეგმავს ყველა ვალდებულების შესრულებას სახელშეკრულებო ვადით. ასეთი ვალდებულებების შესასრულებლად, კომპანიის მოლოდინის თანახმად, საოპერაციო საქმიანობით მოხდება საკმარისი ფულადი სახსრების შემოდინება.

ლიკვიდურობის რისკი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1 წლიდან 3 წლამდე	3 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	**სულ**
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	87,515	-	-	-	**87,515**
დებიტორული დავალიანება	20,917	-	-	-	**20,917**
დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები	190,564	-	-	-	**190,564**
ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში	-	-	-	54,085	**54,085**
სულ ფინანსური აქტივები	**298,996**	**-**	**-**	**54,085**	**353,081**
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო ვალდებულებები	4,478	-	-	-	**4,478**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**4,478**	**-**	**-**	**-**	**4,478**
ლიკვიდურობის პოზიცია	**294,518**	**-**	**-**	**54,085**	**348,603**

ლიკვიდურობის რისკი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1 წლიდან 3 წლამდე	3 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	**სულ**
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	77,717	-	-	-	**77,717**
დებიტორული დავალიანება	59,223	-	-	-	**59,223**
დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები	18,563	197,688	-	-	**216,251**
ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში	-	-	-	54,085	**54,085**
სულ ფინანსური აქტივები	**155,503**	**197,688**	**-**	**54,085**	**407,276**
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო ვალდებულებები	24,599	-	-	-	**24,599**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**24,599**	**-**	**-**	**-**	**24,599**
ლიკვიდურობის პოზიცია	**130,904**	**197,688**	**-**	**54,085**	**382,677**

22.3 საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანიას საპროცენტო რისკის საფრთხე ემუქრება მხოლოდ იმ ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში, რომლებზეც მოქმედებს ფიქსირებული განაკვეთი. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივების სამართლიან ღირებულებაზე საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენა შეფასდა, როგორც უმნიშვნელო.

საპროცენტო განაკვეთის რისკთან დაკავშირებული ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ:

	31.12.2021		**31.12.2020**	
წლიური %-ში	ლარი	დოლარი	ლარი	დოლარი
ფული და ფულის ეკვივალენტები	2-3%	0.5-0.75%	2-3%	0.5-0.75%
დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივებიი	-	7.50%	-	5.5-7.5%

22 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ *(გაგრძელება)*

22.4 სავალუტო რისკი

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები (საბანკო ბალანსები, დეპოზიტები, ფასიანი ქაღალდები და დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებები (გადასახდელები) იწვევენ სავალუტო რისკს. კომპანიას არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და მათ გადადგეს გარკვეული ნაბიჯები სავალუტო რისკის შესამცირებლად. ეს ნაბიჯები ძირითადად გულისხმობს სავალუტო დეპოზიტების განხორციელებას.

ფინანსური აქტივები ვალუტის მიხედვით

ფინანსური აქტივები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებული ვალუტების მიხედვით:

	დებიტორული დავალიანება	**დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები**	**ფული და ფულის ეკვივალენტები**	**სულ**
აშშ დოლარი	18,031	190,564	75,740	**284,335**
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**18,031**	**190,564**	**75,740**	**284,335**

ფინანსური აქტივები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებული ვალუტების მიხედვით:

	დებიტორული დავალიანება	**დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები**	**ფული და ფულის ეკვივალენტები**	**სულ**
აშშ დოლარი	35,508	216,251	50,299	**302,058**
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**35,508**	**216,251**	**50,299**	**302,058**

ფინანსური ვალდებულებები ვალუტის მიხედვით

ქვემოთ მოცემულ ცხრილში გაანალიზებულია ფინანსური ვალდებულებები ვალუტების მიხედვით:

ფინანსური ვალდებულებები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებული ვალუტების მიხედვით:

	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**სულ**
აშშ დოლარი	(2,604)	**(2,604)**
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(2,604)**	**(2,604)**

ფინანსური ვალდებულებები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებული ვალუტების მიხედვით:

	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**სულ**
აშშ დოლარი	(3,061)	**(3,061)**
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(3,061)**	**(3,061)**

22 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ *(გაგრძელება)*

22.4 სავალუტო რისკი *(გაგრძელება)*

ლარის გაცვლითი კურსის 10%-იანი გამყარება/გაუფასურება აშშ დოლარის მიმართ შეამცირებს/გაზრდის დაბეგვრის შემდგომ მოგებას 28,173 ლარით (2020: 29,900 ლარით).

23 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარე არის პიროვნება ან საწარმო, დაკავშირებული იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ზემოაღნიშნული საწარმო წინამდებარე სტანდარტში მოიხსენიება როგორც "ანგარიშვალდებული საწარმო").

ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ:

(i) ეს პირი აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს;
(ii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან
(iii) არის ანგარიშვალდებული საწარმოს ან მისი სათავო საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

(i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ სათავო საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე სათავო საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები);

(ii) ერთ-ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);

(iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე მხარის ერთობლივ საწარმოს;

(iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე მხარის ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო იმავე მესამე მხარის მეკავშირე საწარმო;

(v) ეს საწარმო არის ან ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე მხარის დაქირავებულ მომუშავეთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ამგვარი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა;

(vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) პუნქტში მითითებული რომელიმე პიროვნება;

(vii) (ა) (i) პუნქტში მითითებულ რომელიმე პიროვნებას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პიროვნება არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი სათავო საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

(viii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომელსაც მოცემული საწარმო განეკუთვნება, ანგარიშვალდებულ საწარმოს, ან ანგარიშვალდებული საწარმოს სათავო საწარმოსთვის ასრულებს მმართველობით მომსახურებას.

კომპანიის ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია ქვემოთ:

შემოსავალი:	**2021**	**2020**
ძირითადი აქციონერები	1,807	2,259
სხვა დაკავშირებული მხარეები	5,204	40,013

ხარჯი	**2021**	**2020**
ძირითადი აქციონერები	23,581	42,618
სხვა დაკავშირებული მხარეები	-	344

23 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან *(გაგრძელება)*

ხელმძღვანელთა მთავარი რგოლის ანაზღაურება	2021	2020
ხელფასები და პრემიები	31,800	28,800

მოთხოვნა	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
ძირითადი აქციონერები	646	360
სხვა დაკავშირებული მხარეები	1,047	35,431

ვალდებულება	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
ძირითადი აქციონერები	1,956	22,265

ბანკში განთავსებული ფულადი სახსრები ნაშთი	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
სს "საქართველოს ბანკში" განთავსებული ფულადი სახსრების ნაშთები	33,788	5,904
სს "თიბისი ბანკში" განთავსებული ფულადი სახსრების ნაშთები	44,667	49,245

24 საწარმოს უწყვეტობის განხილვა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ კომპანიის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

25 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთმა დაიწყო ომი უკრაინასთან, რამაც გამოიწვია 2014 წელს დაწყებული რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის ესკალაცია. ომი ჯერ კიდევ გრძელდება კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის. შეჭრა საერთაშორისო მასშტაბით დაგმეს. ბევრმა ქვეყანამ დააწესა ახალი სანქციები, რამაც გამოიწვია მძიმე ეკონომიკური შედეგები რუსეთისთვის და მსოფლიო ეკონომიკისთვის. კომპანია არ აფასებს ზემოაღნიშნული რუსეთ-უკრაინის კონფლიქტიდან წარმოშობილ რისკებს, როგორც მნიშვნელოვანს, ვინაიდან კომპანიას ან მის მფლობელებს და კომპანიის ძირითად კლიენტებს არანაირი კავშირი არ აქვთ არც რუსეთთან და არც უკრაინასთან.

სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც შეიძლება აისახოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მისი ხელმოწერის თარიღამდე არ მომხდარა.

*****